პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 113
(5143)

1974 წ.
9 ივნისი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

საკდესი მოგვითხრობს

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

ერთი ინსტიტუტის სახელით

სპარტაკიადის სარბიელზე გამოდიოდნენ ალჟირის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, სუდანის სპორტსმენები, ხოლო გაიმარჯვა... ტაშკენტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა. ამ უმაღლესი სასწავლებლის უცხოელმა სტუდენტებმა აჯობეს თავიანთ თანამემამულეებს, რომლებიც უზბეკეთის დედაქალაქის სხვა ინსტიტუტების სპორტულ ღირსებას იცავდნენ.

— უცხოელ სტუდენტთა პირველი სპარტაკიადა ტაშკენტის ერთ-ერთ საუკეთესო ბაზაზე — სტადიონ „სტარტზე“ ჩატარდა, — ამბობს საქალაქო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. იშჩენკო. — ინსტიტუტის მწვრთნელები გულმოდგინედ ამზადებდნენ კალათბურთელებს, ფრენბურთელებს, ჩოგბურთელებს, მოჭადრაკეებს. უცხოელმა სტუდენტებმა, რომლებიც ჩვეულებრივ თავიანთ საბჭოთა კოლეგებთან ერთად გამოდიან სარბიელზე, ძლიერი გუნდების შექმნა შეძლეს. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ ღირსებას იცავდნენ ვიეტნამელი ჩოგბურთელები, მონღოლი მოჭადრაკეები, ალჟირელი ფრენბურთელები. კალათბურთელთა ტურნირისთვის კი უცხოელმა სტუდენტებმა „ინტერნაციონალური გუნდი“ შექმნეს — მოედანზე გამოვიდნენ კუბის, მონღოლეთისა და სუდანის ახალგაზრდები.

სპარტაკიადის ბევრმა მონაწილემ სათანრიგო ნორმატივები შეასრულა.

ამიერიდან ტაშკენტში უცხოელ სტუდენტთა სპარტაკიადები ტრადიციად იქცევა. გაისად მონაწილეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. უფრო მრავალფეროვანი გახდება ასპარეზობის პროგრამა, რომელსაც დაემატება მძლეოსნობა და ფეხბურთი.

ე. ეფიმოვი.

ტაშკენტი.

მარათონელთა „დასვენება“

თავისებურად გაატარებენ საზაფხულო შვებულებას ორი უნიკალური ზემარათონული გადარბენის მონაწილენი. ამ შეჯიბრებებმა სტარტი ნევის ნაპირებზე აიღო. ერთი, რომლის მანძილია 5670 კილომეტრი, კომკავშირისთვის ლენინის სახელის მინიჭების 50-ე წლისთავს ეძღვნება. ამ გადარბენის მარშრუტი დიდი ბელადის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებში გაივლის. ლენინგრადის საკავშირო პროფსაბჭოს ვერფის ზეინკალს, 44 წლის ნ. ზელოვსა და უდმურტეთის უნივერსიტეტის სასწავლო ოსტატს ნ. გრედელევს განზრახული აქვთ დისტანცია 83 დღეში დაფარონ და აგვისტოს მეორე ნახევარში შეშენსკოეში ჩავიდნენ.

ლენინგრადის „რბენის კლუბის“ მძლეოსანთა მეორე ჯგუფმა კურსი კიროვისკენ აიღო. პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა ს. კოიკოვმა, ხორცკომბინატის მუშამ ბ. სავინსკიმ და უფროსმა ინჟინერმა ვ. ლობანოვმა 1800 კილომეტრი უნდა გადალახონ. მათი ყოველდღიური „სამუშაო ნორმა“ 80-90 კილომეტრია. სპორტსმენები კიროვში ჩავლენ 23 ივნისს, ქალაქის დაარსების 600 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი სპორტული ზეიმის დღეს.

ორივე გადარბენის დევიზი ესაა: „დავნერგოთ მასებში მშდ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი“.

ლენინგრადი.

ვლადივოსტოკი. დიდი ინტერესი გამოიწვია „ვოსტოკისა“ (ვლადივოსტოკი) და „სიბირის“ (ნოვოსიბირსკი) შეხვედრამ წიდოვან ბილიკზე მოტორბოლის ოსტატთა საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით. შეხვედრა ანგარიშით 43:34 მოიგეს მინდვრის მასპინძლებმა — შარშანდელი პირველობის ვერცხლის პრიზიორებმა.

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ი. მურავინის ფოტო.

ЧЕМПИОНАТ СССР
НА ПРИЗ
ГАЗЕТЫ
Социалистическая
ИНДУСТРИЯ

ლიდერებმა პოზიცია განიმტკიცეს

ვილნიუსი, 7 ივნისი. გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზზე საკავშირო მრავალდღიანი ველორბოლის ყველაზე გრძელი, IX ეტაპი (170 კმ) არმიელმა ა. იუდინმა (ტაშკენტი) მოიგო. ფინიშამდე რამდენიმე მეტრი რომ იყო დარჩენილი, მან მძლავრი ბიძგით აჯობა თანაგუნდელ ვ. გალინაუსკასს (რიგა) და ახალგაზრდა მრბოლელს, სსრ კავშირის ნაკრების წევრს ბ. ისაევს (კიშინიოვი). სამივემ აქამდე თითო ეტაპი მოიგო და ახლაც ერთნაირი დრო (4:22.26) აჩვენა. ადგილები ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით „გაანაწილა“ ბონიფიკაციამ.

ფინიშთან მძლავრმა სპურტმა არმიელებს გუნდური გამარჯვებაც მოუტანა ეტაპზე და მათ კიდევ უფრო განიმტკიცეს სალიდერო პოზიცია. 9 ეტაპის შემდეგ II ადგილზე მყოფი დინამოელები ლიდერს 3 წუთითა და 23 წამით ჩამორჩებიან, სულ კი ორი ეტაპიღა დარჩა.

პირად ჩათვლაში კვლავინდებურად წინაა დინამოელი ა. ტიხონოვი (დუშანბე), რომელიც 2 წუთითა და 4 წამით უსწრებს II ადგილზე მყოფ ლენინგრადელ ვ. ხრაპოვს.

ყველაზე აქტიური მრბოლელების სიას გალინაუსკასი მეთაურობს.

მორიგი ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მე-15 ტირაჟისა, რომელიც 30 მაისს მოეწყო მოსკოვში.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 4187 მანეთია (109 ბილეთი), ოთხისთვის — 90 (5782), სამისთვის — 4 მანეთი (133.441).

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (23 ბილეთი), ოთხისთვის — 70 (1898), სამისთვის — 3 მანეთი (46301).

მოგებული თანხა გაიცემა ცენტრალურ შემნახველ სალაროებში 11 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით. (საკდესი).

• • •

საქართველოში რეკორდი დამყარდა. ქუთაისელი პენსიონერი გრიგოლ ტრისტანოვი სპორტულ ლატარიაში პირველივე ტირაჟებიდან მონაწილეობს. წინა, მე-14 ტირაჟში მან ჩვენი რესპუბლიკის ყველა რეკორდი დაამხო: სამი ბილეთი ერთნაირად შეავსო, სამივეზე ხუთ-ხუთი ნომერი გამოიცნო და 9210 მანეთი მოიგო.

პარტია გადაიდო

კისლოვოდსკი, 7 ივნისი. ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში ვ. კოზლოვსკაიასა (პიატიგორსკი) და ი. ლევიტინას (ლენინგრადი) შორის დღეს VI პარტია გათამაშდა. მეტოქეებმა ორთაბრძოლის მეორე ნახევარი დაიწყეს.

კოზლოვსკაიამ (შავებით) მესამედ გაითამაშა სიცილიური დაცვა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ პარტია ყაიმით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ პიატიგორსკელმა მოჭადრაკემ უზუსტოდ ითამაშა და ლევიტინამ დიდი პოზიციური უპირატესობა მიიღო.

ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო. შეწყვეტილ პოზიციაში ლევიტინას მოგების შანსი აქვს.

6 პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 3:2 კოზლოვსკაიას სასარგებლოდ (ერთი პარტია გადადებულია).

მოგებით დაიწყო

ნიცა, 8 ივნისი. XXI საჭადრაკო ოლიმპიადის I ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო შოტლანდიის გუნდს — 3,5:0,5. კარპოვმა სძლია პრიტჩეტს, სპასკიმ — ლევის, ხოლო კორჩნოიმ თამაშის განახლებისას — მაკკეის. ტალისა და ჯეიმისონის პარტია ყაიმით დამთავრდა.

პირველი ნახევარფინალური ჯგუფის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: უეფსი — ანტილის კუნძულები 4:0, მონღოლეთი — იორდანია 3:0 (1 პარტია გადაიდო), ბრაზილია — პუერტო-რიკო 1,5:0,5 (2).

ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

სტარტზეა მშდ

ამას წინათ ცხინვალის სტადიონზე მოეწყო შეჯიბრება მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. 100 მეტრზე რბენაში, ბირთვის კვრასა და სიგრძეზე ხტომაში ძალას ცდიდნენ კომკავშირის რაიკომის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებების, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის სამმართველოს მუშამოსამსახურენი. სტარტზე 30-მდე ქალი და ვაჟი გამოვიდა. ნორმატივები ნახევარზე მეტმა ჩააბარა.

ბირთვის კვრაში ყველას აჯობა განათლების განყოფილების გამგემ ხ. ჩიბისოვმა, რომელმაც წარმატებით იასპარეზა რბენასა და სიგრძეზე ხტომაშიც.

ნორმატივები სამივე სახეობაში ჩააბარეს რაიონის არქიტექტორმა გ. ქოქოევმა, კომკავშირის ცხინვალის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ფუხაევმა, ამავე რაიკომის ინსტრუქტორმა პ. კაბულოვმა, განათლების განყოფილების თანამშრომლებმა უ. კაზიევამ და ი. ჯიკაევამ, სტატისტიკური სამმართველოს მუშაკმა ხ. ძაგოევმა...

გ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

დაშნით მოფარიკავეებმა შეჯიბრება დაამთავრეს

მინსკი, 7 ივნისი. შეიარაღებული ძალების ნაკრებმა ფინალში სამი გამარჯვება მოიპოვა და სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა დაშნით ფარიკაობაში. არმიელებმა (კიეველი გ. კრისი, ვორონეჟელი ვ. მოძოლევსკი, კიეველი ს. პარამონოვი, მინსკელი ი. ვალეტოვი და ვორონეჟელი ს. მატვეევი) ჯერ სტუდენტთა ნაკრებს სძლიეს ანგარიშით 9:2, მერე მწვავე ბრძოლაში აჯობეს დინამოელებს (8:5), ბოლოს კი სპარტაკელები დაამარცხეს — 7:1.

ამრიგად, „სპარტაკის“ მოფარიკავეებს ვერცხლის ჯილდოები ხვდათ. III ადგილზე გავიდა „დინამოს“ გუნდი. IV ადგილზეა „ბურევესტნიკი“, ხოლო მომდევნო ადგილები „ავანგარდმა“ და „ლოკომოტივმა“ დაიკავეს.

ახალი ამბავი-74

● **ტულა, 7 ივნისი.** 23 წლის ველომრბოლელმა კლაუს გრიუნკემ (გდრ) მოიპოვა „ტულის დიდ პრიზზე“ ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების ერთ-ერთი მთავარი ჯილდო. მას გადაეცა ტულის სანადირო თოფი შეჯიბრების პროგრამის პირველ ნომერში გამარჯვებისთვის. გრიუნკემ პარასკევ საღამოს ადგილობრივ ბეტონის ტრეკზე ყველაზე სწრაფად დაფარა 1000 მ ადგილიდან — 1.08,25. მეორე შედეგი ჰქონდა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს ედუარდ რაპს (ომსკი) — 1.08,68. III ადგილზეა კიშინიოველი ანატოლი იაბლუნოვსკი — 1.08,79. შეჯიბრებაში, რომელიც სამ დღეს გასტანს, ზემოდასახელებულთა გარდა მონაწილეობენ ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ველოსიპედისტები.

● კიევი, 7 ივნისი. ევროპის იუნიორ მოკრივეთა აქ მიმდინარე ჩემპიონატის ფინალში საბჭოთა კავშირის ნაკრების 11 წევრიდან 10 სპორტსმენი გავიდა. ეს დიდი წარმატებაა, რამაც მასპინძელი ქვეყნის კოლექტივს გუნდურ ჩათვლაში უკვე მოუტანა გამარჯვება. 9 ივნისს სპორტის სასახლის რინგზე დასკვნითს ორთაბრძოლებში ერთმანეთს შეხვდებიან (წონითი კატეგორიების მიხედვით): ჩ. მეგრი (ინგლისი) — ა. ტკაჩენკო (სსრკ), ი. განუშევი (ბულგარეთი) — ვ. რიბაკოვი, ფ. პაკი (ორივე — სსრკ) — ც. ანდრეიკოვსკი, რ. პეშევი (ორივე — ბულგარეთი) — ვ. სოროკინი, ვ. ლიმასოვი (ორივე — სსრკ) — ც. ცვეტკოვი (ბულგარეთი), ნ. სიგოვი (სსრკ) — რ. მიულერი (გდრ), მ. ბიჩკოვი (სსრკ) — ტ. კაჩარი (იუგოსლავია), ვ. დანშინი — (სსრკ) — კ. კარბონე (იტალია), დ. ენდე (გდრ) — პ. ისტრატე (რუმინეთი), მ. კრუცი (სსრკ) — კ. დაფინოიუ (რუმინეთი), კ. მაშევი (ბულგარეთი) — ს. პლისოვი (სსრკ).

საჭიდაო ხალიჩაზე, ცისფერ ბილიკებზე

ჭიათურის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში დიდი პოპულარობით სარგებლობს კლასიკური ჭიდაობა (მწვრთნელები შ. ხვედელიძე, დ. ტატიშვილი). ამ სახეობის მოყვარულებისთვის მოეწყო ახალი სპორტული დარბაზი. აქვე გაიმართა რაიონის მოსწავლეთა გუნდური პირველობა, რომელშიც 12 კოლექტივი მონაწილეობდა. I ადგილი მოიპოვეს ნავარძეთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. მეორე იყო ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის გუნდი. III ადგილი ხვდათ ქალაქის მე-5 საშუალო სკოლის წარმომადგენლებს.

ჩატარდა მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა ცურვაშიც. შეჯიბრებაში, რომელშიც 100-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა, გუნდური I ადგილი რუსული საშუალო სკოლის მოცურავეებმა დაიკავეს. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მე-2 და 1-ლი საშუალო სკოლების კოლექტივები.

შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ი. შოტმა, თ. ცხადაძემ და ტ. ვეტერმა, რომლებმაც პირველი თანრიგის ნორმატივები შეასრულეს.

შ. ტატიშვილი.
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

გულითადი მასპინძლობა

„ლელოს" ინტერვიუ

— გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პირველად 1963 წელს გავლდით, როცა საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში ქალაქ ობერჰაუზენში ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაში ვმონაწილეობდი, — გვიამბობს ჭადრაკში მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ნონა გაფრინდაშვილი.

— წლეულს, აპრილის მიწურულს, კვლავ მომიხდა გამგზავრება ამ ქვეყანაში, ამჯერად ქალაქ დორტმუნდში, სადაც ვაჟთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად მიმიწვიეს.

დორტმუნდი დიდი ქალაქია. ჭადრაკს აქაც ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. შარშან სწორედ მათი თაოსნობით ჩაეყარა საძირკველი „დორტმუნდის ჭადრაკის საერთაშორისო დღეებს". ამ თავისებურ ფესტივალს ამშვენებდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა დიდოსტატებმა ბორის სპასკიმ და პაულ კერესმა.

მასპინძლები გულითადად შემხვდნენ. ტურნირის დაწყებამდე სამი დღე დორტმუნდის ღირსშესანიშნაობათა გაცნობას მოვანდომე. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდი მასპინძელთა ყურადღებას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ლუდვიგ შნაიდერმა გულთბილი, მხატვრულად გაფორმებული ადრესი გამომიგზავნა.

1 მაისი — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე დორტმუნდში ფართოდ აღინიშნა. ქალაქის ქუჩები და მოედნები მოზეიმე ხალხით იყო სავსე.

3 მაისს ჩემი დაბადების დღეა. დილით რესტორანში რომ ჩავედი სასაუზმოდ, მიმტანმა ქალმა ცალკე მაგიდასთან მიმიწვია, ეს სუფრა თქვენს პატივსაცემადაა გაშლილიო. მალე გამოჩნდნენ დორტმუნდის ჭადრაკის მესვეურნი, ტურნირის მონაწილენი. ვარდებით მომილოცეს დაბადების დღე.

ტურნირში სათამაშოდ მოწვეული იყვნენ ცნობილი დიდოსტატები: უნგრელი ლასლო საბო, იუგოსლაველი მატე დამიანოვიჩი, საერთაშორისო ოსტატები: რუმინელი ვიქტორ ჩოკილტია, იტალიელი დოქტორი ენრიკო პაოლი, პოლონელი ოსტატები კრისტოფ პიტელი და გერმანელი მოჭადრაკეები ფრადელმი ბახმანი, ოტო ბორიკი, რაიმონდ ბუში, კარლ პიუტემანი, მანფრედ კრაუზი და რუდოლფ ზერვატი. ვთამაშობდით დორტმუნდელთა საყვარელ საზაფხულო პარკში — ვესტფალენპარკში.

დასავლეთ გერმანიაში ეს პარკი ყველაზე დიდი ყოფილა. აქ ყველანაირი გასართობია. პარკში აღმართულია ოსტანკინოს მსგავსი სატელევიზიო კოშკი, რა თქმა უნდა, უფრო დაბალი, ოღონდ მოძრავი რესტორნით. მთელი პარკი ტულიპებსა და ვარდებშია ჩაფლული.

ამ პარკის მშვენებაა ხელოვნური ტბა, რომლის ნაპირებსაც მწვანე სამოსელი ამშვენებს. ტბის შუაგულში კუნძულია, კუნძულზე კი კაფეს კოხტა შენობა დგას. სწორედ ამ კაფეში ჩატარდა ჩვენი ტურნირი. პაექრობისთვის საუცხოო პირობები გვქონდა.

ბრძოლის მიმდინარეობაზე თითქმის ყოველდღე იწერებოდა „ლელოს" ფურცლებზე. ახლა გაგაცნობთ შეჯიბრების საბოლოო ცხრილს. დავუმატებ, რომ მონაწილეთა შორის მეგობრული სულისკვეთება სუფევდა. ვთამაშობდი დიდი ხალისით, მონდომებით. ბრძოლა კარგად დავიწყე და ვცდილობდი დაუმარცხებლად დამემთავრებინა ტურნირი. კმაყოფილი ვარ, რომ ეს შევძელი. ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში უწინაც მითამაშია, მაგრამ ასე — არასოდეს.

კმაყოფილი ვარ შემოქმედებითი თვალსაზრისითაც. თუმცა შეიძლება მეტი ქულა მქონოდა, ზოგიერთ პარტიაში უპირატესობა სრულად რომ გამომეყენებინა.

აი, პარტია, რომელსაც დიდი ადგილი დაუთმეს დორტმუნდის გაზეთებმა:

გაფრინდაშვილი — ზერვატი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 g6 5. c4 კg7 6. კe3 მf6 7. მc3 მg4 8. ლ:g4 მ:d4 9. ლd1 e5 10. მb5!

თეორიას ეს კარგ სვლად მიაჩნია. შავებმა ფრთხილად უნდა ითამაშონ, რათა უარესი პოზიცია არ მიიღონ, მაგალითად, 10. ... მ:b5 11. cb d6 12. კc4 შემდეგ თეთრებს უპირატესობა აქვთ.

10. ... 0—0 11. კe2

თეორია გვირჩევს 11. ლd2-ს.

11. ... ლh4? 12. მ:d4 ed 13. კ:d4 ლ:e4 14. კ:g7!

აქ ბოლომდე გავიანგარიშე კომბინაცია ორი ეტლის შეწირვით. ზერვატი პაიკს დახარბდა. 14. ... მფ:g7 15. 0—0 შემდეგ თეთრების პოზიცია უკეთესია.

14. ... ლ:g2 15. ლd4!

რა თქმა უნდა, ცუდია 15. კf3? ეe8+ 16. მფd2 ლg5+ და 17. ... მფ:g7-ის შემდეგ შავებს ზედმეტი პაიკი აქვთ.

15. ... ლ:h1+ 16. მფd2 ლ:a1

შავებს მძიმე პოზიცია ექნებოდათ 16. ... ლc6 17. კ:f8 მფ:f8 18. ეe1 f6 19. კd3 შემდეგ.

17. ლf6!

შავები დანებდნენ. მათს მეფეს ვერაფერი უშველის: 17. ... ლ:a2 18. კh6 ლa5+ 19. მფc1 ლa1+ 20. მფc2 ლa4+ 21. მფb1.

ერთმა მიმომხილველმა გაიხსენა, რომ ორი ეტლის შეწირვა პირველად დიდმა გერმანელმა მოჭადრაკემ ანდერსენმა გამოიყენა კიზირიცკისთან პარტიაში ლონდონში 1851 წელს, რისთვისაც ამ პარტიას უკვდავი უწოდეს. მერე ეს კომბინაცია ბევრმა მოჭადრაკემ გაიმეორა, მაგრამ მასპინძლებს სურდათ ჩემთვის ესიამოვნებინათ ისტორიული ამბის გახსენებით.

სხვათა შორის, მე-10 სვლაზე კარგა ხნით ჩავფიქრდი. ვცდილობდი თეორიის რეკომენდაციები მომეგონებინა, მაგრამ ამაოდ, მერე გადავწყვიტე დამოუკიდებლად მეთამაშა და არცთუ ცუდად გამომივიდა.



ზოგიერთ პარტიაში პატარა კომბინაცია განვახორციელე. აი, ორი მათგანი:

გაფრინდაშვილი — პაოლი



პოზიცია მომწიფებულია საიერიშოდ. ამიტომ მსხვერპლის გაღება და შავი მეფის დარბევა სავსებით ბუნებრივი გაგრძელებაა.

31. მf6+ კ:f6 32. ლ:h7+ მფf8 33. ef მd2+ 34. მფc1 მb3+ 35. cb ლh1+ 36. მფc2 ab+ 37. მფ:b3 ლd5+ 38. მფc2 ლc4+ 39. მფb1 ლf1+ 40. მფa2 ლc4+ 41. მფa1 ლf1+ 42. ლb1 ლ:f4 43. fg+. პაოლი დანებდა.

ბახმანი — გაფრინდაშვილი



აქ კომბინაციით პაიკი მოვიგე. მერე საჭირო იყო ზუსტი თამაში მისი რეალიზებისთვის.

41. ... ლ:a1+ (არ შეიძლება 41. ... მ:e2+ 42. მფf1 და 43. ლ:f7+ მუქარის გამო) 42. ლ:a1 ეc1+ 43. ლ:c1 მ:e2+ 44. მფf1 მ:c1 45. d4 მფg7 46. მd5 მფf8 47. მc3 მb3 48. მb5 a6 49. მc7 მ:d4 50. მ:a6 მe6 51. მფe2 მფe8 52. მფd3 მფd7 53. მფc4 მc7 54. მb4 მფd6 55. მd3 e5 56. f4 ef 57. მ:f4 მფe5 58. მe2. ბახმანი დანებდა.

ტურნირი რომ დამთავრდა, ტრადიციისამებრ, 10 მოჭადრაკე ელვისებურ თამაშში შევეჯიბრეთ ერთმანეთს. I ადგილი დავიკავე: რვა პარტია მოვიგე და ერთი ყაიმით დავამთავრე.

მასპინძლებმა მთხოვეს კიდევ ორიოდე დღით დავრჩენილიყავი, რათა ერთდროული თამაშის სეანსებში შევხვედროდი ჭადრაკის მოყვარულებს. პირველი სეანსი 21 დაფაზე ჩავატარე. თოთხმეტი პარტია მოვიგე, სამი ყაიმით დავამთავრე და ოთხი წავაგე.

მეორე სეანსი 20 დაფაზე გავმართე. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის მიუნხენის „ბაიერნისა" და მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელთა გუნდების გადამწყვეტ მატჩამდე ორი საათი რჩებოდა. ვჩქარობდი, ამ შეხვედრის ნახვა მინდოდა. ამ სიჩქარეში 19 პარტია მოვიგე და ერთი წავაგე.

შინ მდიდარი შთაბეჭდილებები გამომყვა. ყველაზე მეტად სიამოვნებით ვიხსენებ დორტმუნდის მესვეურთა და მოჭადრაკეთა გულითად მასპინძლობას.

საუბარი ჩაიწერა თ. გიორგაძემ.

* * *

სურათებზე: დორტმუნდის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის პრიზიორები. დგანან (მარცხნიდან): ვ. ჩოკილტია, ლ. საბო, მ. დამიანოვიჩი, ზის — ნ. გაფრინდაშვილი; დორტმუნდის გაზეთი ჭადრაკის დედოფალს ოსტატობას უქებს.



Georgierin Nona gegen Rudolf Servaty

Glanzpartie der Schachdame

Nona Gaprindaschwili (UdSSR) war der Star der „2. Internationalen Dortmunder Schachtage", hat doch noch nie eine amtierende Weltmeisterin an einem Einzelturnier auf deutschem Boden teilgenommen. Der sympathischen Schachdame aus Georgien, die immer freundlich und bescheiden auftritt, gelang in der 3. Runde des Turniers eine Glanzpartie gegen Rudolf Servaty aus Lünen. Diese Partie wird die Runde um die ganze Schachwelt machen!

Nona Gaprindaschwili

Sizilianisch

Weiß: Gaprindaschwili

Schwarz: Servaty

დორტმუნდის საერთაშორისო ტურნირი (1974 წ. 3-15 მაისი)

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	ქ.	ადგ.
1. ლ. საბო (უნგრეთი)	◆	½	½	½	½	1	½	1	1	1	1	1	8½	1—2
2. ვ. ჩოკილტია (რუმინეთი)	½	◆	½	½	½	1	½	1	1	1	1	1	8½	1—2
3. ნ. გაფრინდაშვილი (სსრკ)	½	½	◆	½	½	½	1	½	1	1	1	1	8	3—4
4. მ. დამიანოვიჩი (იუგოსლავია)	½	½	½	◆	½	0	1	1	1	1	1	1	8	3—4
5. კ. პიტელი (პოლონეთი)	½	½	½	½	◆	0	½	½	1	1	1	½	6½	5
6. ო. ბორიკი (გფრ)	0	0	½	1	1	◆	½	½	1	0	1	0	5½	6
7. რ. ზერვატი (გფრ)	½	½	0	0	½	½	◆	½	½	½	½	1	5	7
8. კ. პიუტემანი (გფრ)	0	0	½	0	½	½	½	◆	½	½	½	½	4	8—9
9. რ. ბუში (გფრ)	0	0	0	0	0	0	½	½	◆	1	1	1	4	8—9
10. ფ. ბახმანი (გფრ)	0	0	0	0	0	1	½	½	0	◆	0	1	3	10—11
11. ე. პაოლი (იტალია)	0	0	0	0	0	0	½	½	0	1	◆	1	3	10—11
12. მ. კრაუზე (გფრ)	0	0	0	0	½	1	0	½	0	0	0	◆	2	12

სამთა მატჩ-ტურნირი

რიგა, 7 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). სამი მოძმე რესპუბლიკის მოჭადრაკეთა გუნდების მატჩ-ტურნირის მეორე წრის 1 ტურში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს და უკრაინის კოლექტივები. გაიმარჯვა უკრაინის გუნდმა — 6,5:2,5.

დაფების მიხედვით შედეგები ასეთია (პირველი გვარი უკრაინის გუნდის წევრისაა): ლ. ალბურტი — ჟ. გუფელდი 1:0, ა. ბელიავსკი — ე. უბილავა 0,5:0,5, ს. პალატნიკი — რ. ჯინჯიხაშვილი 0,5:0,5, ო. რომანიშინი — ა. ტუზოვსკი 0,5:0,5, კ. ლერნერი — ა. ბოკუჩავა 1:0, ი. პერესიპკინი — გ. ზაიჩიკი 1:0, მ. მიხალჩიშინი — ზ. მიქაძე 1:0, ი. ოსტრიი — ც. კობაიძე 1:0, ი. არტამონოვა — ც. კახაბრიშვილი 0:1.

6 დიდოსტატი და ამდენივე ოსტატი

ლოს-ანჯელესი (აშშ). აქ დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 6 დიდოსტატი და ამდენივე ოსტატი მონაწილეობდა.

I ადგილი დაიკავა დიდოსტატმა ს. გლიგორიჩმა (იუგოსლავია)— 7,5 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა ფ. გეორგიუმ (რუმინეთი) და ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ექსჩემპიონმა, საერთაშორისო ოსტატმა ხ. კაპლანმა (პუერტო-რიკო) — 7-7. კაპლანმა საერთაშორისო დიდოსტატის ბალი მოაგროვა.

მეორედ...

ტალინი, 6 ივნისი. ესტონეთის „იიუდის" წევრმა, ოსტატობის კანდიდატმა მარი სამულმა ყველას აჯობა სასოფლო ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების მოჭადრაკეთა საკავშირო შეჯიბრებაში. ბოლო, XI ტურში მან ოსტატ ლ. შადურას (კურსკის ოლქი) სძლია და საბოლოოდ 9,5 ქულა დააგროვა. სამული შარშანაც ჩემპიონი იყო.

II ადგილზეა ოსტატი ლ. ლიუბარსკაია („უროჟაი", რსფსრ) — 8 ქულა.

თქვენ როგორ ამოხსენით?

„ლელოს" 7 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული დ. გურგენიძის (თბილისი) ეტიუდი სწორად მხოლოდ თინა ქიტესაშვილმა (გურჯაანის რაიონი, სოფ. ჩუმლაყი) ამოხსნა.

ეტიუდის ამოხსნა: 1. ეh1 b3 2. ეa1 მფa7 3. მფc7 მფa6 4. მფc6 მფa5 5. მფc5 მფa4 6. მფc4 მფa3 7. ეd1 b2 8. ეd3+ მფa4 9. ეd8 მფa5 10. მფc5 მფa6 11. მფc6 მფa7 12. ეd7+ მფb8 13. ეd8+ მფa7 14. ეd7+ მფa6 15. ეd8. პოზიციური ყაიმი.

რ. თავარიანის (თბილისი) ამოცანა („ლელო", № 91) სწორად ამოხსნეს: ჟ. ჭუმბურიძემ (თერჯოლის რაიონი, სოფ. ზედა სიმონეთი), რ. ჭანტურიამ (აბაშა), მ. ბიწაძემ (ზესტაფონი), ტ., ო. და ა. მამულაშვილებმა (ყველა — თბილისი), რ. გურულმა (ზესტაფონის რაიონი, სოფ. ქვედა საქარა), ს. თოთლაძემ (ქარელის რაიონი, სოფ. ქვენა ტკოცა), გ. ნაფეტვარიძემ (თერჯოლის რაიონი, სოფ. ჩხარი).

ამოცანის ამოხსნაა: 1. ეe4 ეad3 2. ეc5+; 1. ... ეgd3 2. ეe5+; 1. ... e5 2. კh5.

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა

მხოლოდ ერთი რეკორდი

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა მძლეოსანთა პირად-გუნდური შეჯიბრება. ასპარეზობის შედეგების მიხედვით ნაკრების ხელმძღვანელობამ 79 ჭაბუკი და გოგონა შეარჩია, ალმა-ათაში საკავშირო სპარტაკიადაში საასპარეზოდ კი 69-კაციანი გუნდი უნდა გაემგზავროს. ნაკრების საბოლოო შემადგენლობა უკანასკნელი სტარტების მიხედვით დადგინდება.

მთელ რიგ სახეობებში დამაკმაყოფილებელი შედეგები იქნა ნაჩვენები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჭაბუკებმა. მაგალითად, 100 მეტრზე რბენაში სამივე პრიზიორმა პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა. 800 მეტრზე მორბენალმა თბილისელმა ა. ნეკრასოვმა 17-18 წლის ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი, რომელიც 1971 წლიდან ასევე თბილისელ გ. ტემჩინს ეკუთვნოდა, 0,4 წამით გააუმჯობესა — 1.55,1. აღსანიშნავია, რომ ტემჩინსაც და ნეკრასოვსაც ვ. ქადეიშვილი ავარჯიშებდა.

პირველი თანრიგის შედეგებით გაიმარჯვეს, აგრეთვე: 400 მეტრზე რბენაში — ა. ხრომოვმა — 50,6, უროს ტყორცნაში — დ. წოწკოლაურმა — 56,88 მ, სიგრძეზე ხტომაში — ე. თათარაშვილმა — 700 სმ, სიმაღლეზე ხტომაში — ვ. ნოზაძემ — 193 სმ...

ასპარეზობის მთავარ მსაჯს, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრს მ. ტუღუშს იმედი აქვს, რომ საკავშირო სპარტაკიადამდე საქართველოს ნაკრების წევრთა მაჩვენებლები კიდევ უფრო ამაღლდება. მისივე აზრით, რესპუბლიკურ შეჯიბრებაში შედეგები უკეთესი იქნებოდა, მძლეოსნობის განვითარებისთვის ყველგან სათანადოდ რომ ზრუნავდნენ.

დებულებით, სპარტაკიადაში გუნდებს ჩათვლას აძლევდნენ ის მძლეოსნები, რომლებიც სულ ცოტა მეორე თანრიგის ნორმატივს შეასრულებდნენ. სამწუხაროდ, მონაწილეთა სიმრავლის მიუხედავად (სტარტზე 28 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები გამოვიდნენ), მთელ რიგ სახეობებში სასურველი შედეგი ჩემპიონებმაც კი ვერ მოიპოვეს. ქარელის, ხაშურის, ჩოხატაურის, მესტიის, ზუგდიდის, წულუკიძის, წალკისა და ორჯონიკიძის რაიონების მძლეოსნებმა თითო ქულაც ვერ მიიღეს.

რაიონებში მომუშავე მწვრთნელებიდან ყველაზე მეტ ქებას მახარაძელები იმსახურებენ. ამ რაიონის მძლეოსნები კარგა ხანია პირველი ჯგუფის გუნდებს ტოლს არ უდებენ. სპარტაკიადის ჩამტარებლები სწორად მოიქცნენ, მახარაძის რაიონის ნაკრებს პირველ ჯგუფში გამოსვლის უფლება რომ მისცეს. მახარაძელებმა საბოლოოდ 67 ქულა მოაგროვეს, ჩამოიტოვეს ქუთაისის (60 ქულა), სამხრეთ ოსეთის (33), აჭარის (28) კოლექტივები და III ადგილი დაიკავეს. სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა თბილისის ნაკრები — 250 ქულა, II ადგილზე გავიდა აფხაზეთის მოსწავლეთა გუნდი — 97.

აჭარის მძლეოსნებს მეორე ჯგუფის კოლექტივების ტურნირში გამარჯვებულმა ფოთელებმაც აჯობეს. მათ 31 ქულა მოაგროვეს. ამ ჯგუფში II ადგილი დაიკავეს ახმეტის მძლეოსნებმა — 20, III — რუსთავის სპორტსმენებმა — 17.

აზერბაიჯანის მოსწავლეთა ნაკრები შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდა. მათ მასპინძლებს რამდენიმე სახეობაში აჯობეს. განსაკუთრებით კარგად იასპარეზეს გოგონებმა. მაგალითად, 100 მეტრზე რბენაში სპარტაკიადის ჩემპიონს, თბილისელ ნ ლოლაძეს ბაქოელმა ნ. პონომარიოვამ 0,4 წამით აჯობა, 800 მეტრზე ასპარეზობაში ახალციხელ მ. ვენგრჟანოვიჩს ნ. ივანოვამ ფინიშთან 3,9 წამით მიასწრო, ბაქოელი ი. ზავიალოვა 563 სანტიმეტრ სიგრძეზე გადახტა, ო. ხუბუტია (აფხაზეთი) კი 33 სანტიმეტრით ჩამორჩა. 100 მეტრზე თარჯრბენში ე. სატულაევამ დუშელ ლ. აბულაძეს 0,9 წამი მოუგო. სტუმარი ჭაბუკებიდან განსაკუთრებით 400 მეტრზე მორბენალი მ. ისმაილოვი უნდა გამოვყოთ. მართალია, თბილისელ ხრომოვს გუნდის ხელმძღვანელობა არ ემდურის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ისმაილოვმა დისტანცია 47,7 წამში გაირბინა და მასპინძელს 2,4 წამით აჯობა აშკარაა, რომ ალმა-ათაში ისმაილოვს გამარჯვების გაცილებით მეტი შანსი აქვს.

სპარტაკიადამ საქართველოს მოსწავლე მძლეოსანთა სამზადისში სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზებიც გამოავლინა.

რ. მაღრაძე.

* * *

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს. დასახელებული არიან იმ სახეობების პრიზიორები, რომლებშიც მონაწილეებმა ჩასათვლელი მეორე თანრიგისა და უკეთესი შედეგები მოიპოვეს.

გოგონები. **რბენა.** 100 მ. ნ. ლოლაძე — 12,8, ტ. ეროხინა — 12,9, ლ. დარახველიძე — 13,0; 200 მ. ე. მაჟაევა — 26,6, ი. კუნდიუკოვა (ყველა — თბილისი) — 26,9, მ. რიაბოვა — 27,1; 400 მ. ტ. კონონოვა (ორივე — აფხაზეთი) — 59,5, ე. კლოკარი (თბილისი) — 1.01,1; 800 მ. მ. ვენგრჟანოვიჩი — 2.28,7; 1500 მ. ლ. პილშჩიკი (ორივე — ახალციხე) — 5.04,6 (უკონკურსოდ), მ. სტროგეცკაია (თბილისი, პირადი) — 5.11,4. **ესტაფეტა.** 4×100 მ. აფხაზეთი — 51,0; 4×400 მ. აფხაზეთი—4.09,5. 100 მ. **თარჯრბენი.** ლ. აბულაძე (დუშეთი) — 15,4. **სიგრძეზე ხტომა.** ო. ხუბუტია (აფხაზეთი) — 530. **სიმაღლეზე ხტომა.** მ. კიკნაველიძე (თბილისი) — 160. **შუბის ტყორცნა.** ვ. გაგლოევა (სამხრეთ ოსეთი) — 42,20, ქ. ხოსიაური (თიანეთი) — 42,16. **ბადროს ტყორცნა.** მ. აბულაძე (ხაშური) — 36,72. **ბირთვის კვრა.** ე. ტუღუში (თბილისი) — 11,67. **ხუთჭიდი.** ტ. სემიონოვა — 3197, ი. კაკულია (ორივე — აფხაზეთი) — 2946, ი. დენისენკო (თბილისი) — 2910.

ჭაბუკები. **რბენა.** 100 მ. გ. დინგაშვილი (ახმეტა) — 10,9, ვ. ივანოვი — 10,9, გ. ბაღაშვილი — 11,0; 200 მ. ს. კრასნოკუტსკი — 22,5, ვ. ხახუაშვილი (ყველა — თბილისი) — 22,6, მ. კიშინსკი (მახარაძე) — 22,7; 400 მ. ა. ხრომოვი — 50,6, ნ. ოდინეცი — 50,8, მ. კერძევაძე — 51,1; 800 მ. ა. ნეკრასოვი (ყველა — თბილისი) — 1.55,1, ვ. ნებაძე (ახალციხე) — 2.00,6, ი. ციგულაევი (ფოთი) — 2.00,7; 1500 მ. ვ. ფიოდოროვი — 4.09,8, ვ. მაკაევი (ორივე — თბილისი) — 4.14,7, ი. სოფიანიდი (აფხაზეთი) — 4.14,9, 3000 მ. შ. ქელეხსაევი (სამხრეთ ოსეთი) — 10.43,1; 5000 მ. გ. ლაზაროვი (თბილისი) — 17.53,8. **ესტაფეტა.** 4×100 მ. თბილისი — 43,1, მახარაძე — 44,2, ქუთაისი — 44,4. 4×400 მ. თბილისი — 3.24,0. 2000 მ **წინაღობებით.** ვ. ჩერტოვი (თბილისი) — 6.32,4. **თარჯრბენი.** 110 მ. ო. ხანასასიუკი (თბილისი, პირადი) — 16,3, ლ. ფარცვანია (ინტერნატი, უკონკურსოდ) — 16,5; 400 მ. ა. უშაკოვი (პირადი) — 57,9, ვ მაჩაბელი (ორივე — თბილისი) — 58,5, ლ. სვიკლენკო (აჭარა) — 1 წუთი. **სპორტული სიარული** 10 კმ. თ. მსხალაია (თბილისი) — 50.12,9, ბ. ბოთერაშვილი (სამტრედია) — 50.18,2. **შუბის ტყორცნა.** რ. ბაირამოვი (თბილისი) — 66,42, ვ. ჭინჭარაული (დუშეთი) — 55,60, ნ. არღუნი (აფხაზეთი) — 54,40. **ბადროს ტყორცნა.** თ. ოდიშვილი — 40,72. **უროს ტყორცნა.** დ. წოწკოლაური (ორივე — თბილისი) — 56,88, ვ. დელიბაშვილი (გარდაბანი) — 48,78, მ. საბაშვილი (თბილისი) — 45,86. **ბირთვის კვრა.** ვ. სუხიტაშვილი (თეთრი წყარო) — 14,60, თ. ნაცვალაძე (მახარაძე) — 13,44. **სიგრძეზე ხტომა.** ე. თათარაშვილი (თბილისი) — 700 სმ, გ. ხალიბინი (მახარაძე) — 658, გ. ონანოვი (პირადი) — 650. **სიმაღლეზე ხტომა.** ვ. ნოზაძე (ორივე — თბილისი) — 193, ა. ილინი (ფოთი) — 190, გ. ტიტარჩუკი (თბილისი, პირადი) — 185. **სამხტომი.** ა. თათევოსიანი (მახარაძე) — 14,38, ზ. კუსრაშვილი — 14,04, ა. სხირტლაძე (ორივე — პირადი) — 13,82. **ჭოკით ხტომა.** ო. ლოხმანი (ყველა — თბილისი) — 380. **ათჭიდი.** ვ. ბერიშვილი (ჭიათურა) — 6386, გ. ქემოკლიძე — 6230, ს. ტურუკინი (ორივე — თბილისი) — 5921.

* * *



სურათებზე: დ. წოწკოლაური უროს ტყორცნის დროს; 100 მეტრზე რბენაში გოგონათა ფინალური შეჯიბრების მომენტი.

ი. იუნაევის ფოტოები.

მძლეოსანთა სტარტები

ერფურტი, 8 ივნისი. შუბის ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენმა რუტ ფუქსმა (გდრ) წლეულს თავისი პირველი სტარტი მსოფლიოში ჯერჯერობით საუკეთესო შედეგით აღნიშნა — 61,86 მ. ამავე შეჯიბრებაში გდრ-ის ნაკრების მეორე წევრმა მანფრედ კუშმანმა 10 კმ 28 წუთსა და 18 წამში გაირბინა.

პარიზი, 8 ივნისი. მიუნჰენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა გი დრიუმ (საფრანგეთი) კონტინენტის სპორტსმენთა შორის პირველმა გაიმეორა ევროპის რეკორდი 110 მეტრზე თარჯრბენში — 13,2 წამი. ეს რეკორდი ჯერ კიდევ 14 წლის წინათ დაამყარა მ. ლაუერმა (გფრ). ფრანგ მძლეოსანს ასპარეზობისას ზურგქარი „ეხმარებოდა“, მაგრამ იგი არ აღემატებოდა წამში ორ მეტრს, ესე იგი, რეკორდის რეგისტრაცია შეიძლება.

კვარც-ჰილი, 8 ივნისი. კალიფორნიის ამ პატარა ქალაქში ასპარეზობისას ამერიკელმა ჯონ პაუელმა 69,46 მეტრზე ტყორცნა ბადრო, რაც 106 სანტიმეტრით სჯობს მსოფლიო რეკორდს! მაგრამ ახალი მიღწევის აღიარებას ორი გარემოება უშლის ხელს: ბადროს ტყორცნის სექტორი დაქანებული იყო (წესით ეს დაუშვებელია), თანაც, შეჯიბრების მსაჯებს არასათანადო კვალიფიკაცია ჰქონდათ.

ფეხბურთი

13/VI — 7/VII

WM-74

ფინალისტთა მონაწილეობით

ფლორენცია. ადგილობრივმა „ფიორენტინამ“ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მესამე მონაწილეს — ურუგვაის ნაკრებს სძლია. მთელი თამაშის მანძილზე უპირატესობას იტალიელები ფლობდნენ. პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა როჯიმ, შესვენების შემდეგ კი ანტონინიმ მეორედ აიღო სტუმართა კარი — 2:0.

ურუგვაის გუნდმა უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა, მაგრამ, როგორც ხედავთ, „ფიორენტინასთან“ ვერაფერს გახდა.

მანამდე „ფიორენტინამ“ დაამარცხა არგენტინისა (2:0) და ზაირის (2:1) ნაკრები გუნდები.

ავსტრალიის ნაკრებმა შვეიცარიაში წარმატებით ითამაშა — უმაღლესი ლიგის გუნდთან „სანქტ-გალენთან“ — გაიმარჯვა ანგარიშით 4:1.

პირველი ტაიმი უგოლოდ დამთავრდა. 66-ე წუთიდან 78 წუთამდე კი ავსტრალიელთა თავდამსხმელმა ოლსტონმა ზედიზედ ოთხჯერ აიღო მასპინძელთა კარი.

ერთადერთი საპასუხო გოლი 83-ე წუთზე გაიტანა შვეიცარიის ნაკრების წევრმა ბლეტლერმა.

ტიპი და ტაპი გვაცნობენ

ორი „ინგლისელი“

ვინც იტალიის ნაკრების შემადგენლობას გადახედავს, არ შეიძლება თვალში არ ეცეს ერთი ფეხბურთელის სახელი და გვარი: ჯოზეფ (ჯუზეპე) ვილსონი. საიდან მოხვდა ინგლისელი იტალიის ნაკრებში?

ვილსონი დაიბადა 1945 წელს დარლინგტონში (ინგლისი). იგი სულ რამდენიმე თვისა იყო, როცა მისი მშობლები ნეაპოლში გადავიდნენ სამუდამოდ საცხოვრებლად. აქ გაიზარდა ჯუზეპე, მიიღო იტალიის მოქალაქეობა და ნეაპოლიდან რომში ამოჰყო თავი, სადაც „ლაციოში“ დაიწყო თამაში.

ვილსონს ამხანაგები ხუმრობით „სერს“ ეძახიან. იგი ახლა გაცილებით უფრო ძლიერად თამაშობს, ვიდრე ნაკრების მეორე „ლიბერო“, 35 წლის ბურგნიჩი. ვილსონმა სულ ერთხელ ითამაშა იტალიის ნაკრებში. მაგრამ, მიმომხილველთა აზრით, ვალკარეჯი სწორედ მას მიანიჭებს უპირატესობას.

მეორე „ინგლისელი“ გახლავთ იმავე „ლაციოს“ ცენტრალური თავდამსხმელი ჯორჯიო კინალია. მან თავისი სამშობლო იტალია მხოლოდ ჭაბუკობისას გაიცნო. საქმე ისაა, რომ კინალიას ღარიბი მშობლები ინგლისში გადასახლდნენ, როცა მომავალი ფეხბურთელი სულ ჩვილი გახლდათ. ჯერ კიდევ ბავშვს ფეხბურთელის ჩინებული მონაცემები აღმოაჩნდა. იგი „სვენსი-თაუნში“ თამაშობდა, მაგრამ ნამდვილი აღიარება მხოლოდ იტალიაში დაბრუნების შემდეგ „ლაციოში“ მოიპოვა.

ანჩეტა არ გაათავისუფლეს

როდესაც ურუგვაის ნაკრების მწვრთნელმა პორტამ თავისი გუნდის შემადგენლობა გამოაცხადა, ყველა გააოცა გამორჩენილი მცველის ანჩეტას არყოფნამ. იგი ხომ წინა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა!

აქ დამნაშავე მოთამაშის ნაკლები მომზადება ან რაიმე გაუგებრობა როდია. უბრალოდ, ანჩეტა თამაშობს ბრაზილიის ცნობილ კლუბ „გრემიოში“ (პუერტო-ალეგრე), მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლა კი იმას მოასწავებს, რომ იგი დიდი ხნით უნდა გამოეთხოვოს გუნდს. „გრემიოს“ ხელმძღვანელებმა ურუგვაელებს ანჩეტას გათავისუფლებაში ისეთი თანხა მოსთხოვეს, რომ ნაკრებს უარის თქმა მოუხდა.

ორი ნაკრების მატჩი

ერევანი, 7 ივნისი. დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველი და მეორე ნაკრები გუნდების საწვრთნელი შეხვედრა.

მატჩის დასაწყისი აღინიშნა მეორე ნაკრების იერიშებით და ერთხელ ბურთი ძელსაც მოხვდა. შემდგომში პირველმა ნაკრებმა გამოასწორა მდგომარეობა და მალე იშტოიანმა ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ პირველი ნაკრების უპირატესობა აშკარა შეიქნა, რაც დამთავრდა ბლოხინის (3), კოლოტოვისა და შეპელის მიერ გატანილი ბურთებით. ერთადერთი გოლის გატანა შეძლო ფიოდოროვმა.

თამაში დამთავრდა პირველი ნაკრების გამარჯვებით — 6:1.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: პირველი ნაკრები — კოლტუნი, ძოძუაშვილი, ლეშჩუკი, მარტიროსიანი, კაპლიჩნი, ანდრეასიანი, მუნტიანი (კონკოვი), იშტოიანი (კოლოტოვი), შეპელი, ზანაზანიანი, ბლოხინი; მეორე ნაკრები — ოლეინიკი, გევორქიანი, დანილიანცი, არუთინიანი, ნიკოღოსიანი, აჯემი, პროკოპენკო, ნოზდრინი, ნასტაევი, პოგორელოვი, ხაძიპანაგისი (ფიოდოროვი).

დიდი ფორვარდის „პატარა ოინები“

ცნობამ იმის შესახებ, თუ რა უხეშად მოექცნენ ქალაქ ბელგრადის აეროპორტში ინგლისის ნაკრების მოთამაშე კიგანს, ლონდონის თითქმის ყველა გაზეთი მოიარა, ფეხბურთელს ყველგან უბედურ და დაუმსახურებლად შეურაცხყოფილ კაცად ხატავდნენ. დიდი ამბავი, პატარა ოინების უფლება მისცა თავს: ჯერ ბაგაჟის ტრანსპორტიორზე დაიწყო ხტომა, მერე, როცა შენიშვნა მისცეს, სულ ორჯერ გაარტყა აეროპორტის მუშაკს. ინგლისელი მიმომხილველები, რომლებიც გუნდს ახლდნენ, არ მალავენ, რომ ინციდენტი მოხდა. რომელიღაც მოთამაშე მართლაც შეხტა ტრანსპორტიორზეო, ამბობენ ისინი. „უბრალოდ, ჩვენს ბიჭებს ძალიან დიდხანს მოუხდათ ცდა და თავს გართობის უფლება მისცეს“.

ასე იქცევიან პროფესიონალი ფეხბურთელები. ცუდი მაგალითი კი გადამდებია. როგორ არ გავიხსენოთ ერთი შემთხვევა: შოტლანდიელი გულშემატკივრები მინდორზე გადაცვივდნენ და ფეხბურთში თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი ჩაშალეს (მაშინ საბჭოთა დინამოელები თამაშობდნენ). მერე ტრიბუნებზე ატეხეს ენით აუწერელი ხმაური. სულ ახლახან როტერდამში ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ შეზარხოშებულმა გულშემატკივრებმა, რომელთაც უეფა-ს ტურნირის ფინალურ მატჩში თავიანთი რჩეული გუნდის დამარცხება არ ესიამოვნათ, სახლების ფანჯრები დალეწეს, მინდორზე ბოთლებს ისროდნენ, რამდენიმე მაყურებელი და პოლიციელი დაჭრეს... მაშინ „სტუმრებიდან“ ზოგიერთი დაიჭირეს კიდეც.

ა. ნაუმოვი.

[illegible]

ურუგვაი პრობლემებს წყვეტს

16
ფინალისტი

ურუგვაიში სამი მილიონი მცხოვრებია. ამ ქვეყანამ ორჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა და ასევე მხოლოდ ორჯერ ვერ მოხვდა 16 ფინალისტს შორის. ურუგვაელებმა ორჯერ ნახევარფინალს მიაღწიეს, ერთხელ კი მეოთხედფინალში გავიდნენ.

ამ წარმატების ფასს მხოლოდ მაშინ მიხვდებით, თუ წარმოიდგენთ, რომ თითქოს იმავე შედეგს მიაღწიეს უელსმა და დანიამ. ურუგვაის აწუხებს პრობლემა, რომელიც ბევრი პატარა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი: მათ არა აქვთ შესაძლებლობა იმდენი ფული გადაუხადონ თავიანთს ვარსკვლავებს, რომ შეაჩერონ მათი სწრაფვა სამყაროს უფრო „შემოსავლიანი“ მხარეებისკენ.

თავდამსხმელი რიკარდო პავონი და ნახევარმცველი პაბლო ფორლანი არგენტინასა და ბრაზილიაში თამაშობენ, მცველი ბაუდილიო ხაურეგი — არგენტინაში, თავდამსხმელი ვიქტორ ესპარაგო — ესპანეთში, ისევე როგორც ნახევარმცველი ხულიო მონტერო კასტილო. ორი ვეტერანი — მეკარე ლადისლაო მაზურკევიჩი და ბრწყინვალე თავდამსხმელი პედრო როჩა ბრაზილიაში გამოდიან.

ურუგვაელებისთვის ყველაზე დიდი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში შეხვდნენ ევროპის მხოლოდ ერთ გუნდს, ირლანდიის ნაკრებს, რომელიც დაამარცხეს ანგარიშით 2:0. არადა, ჯგუფში მისი მეტოქეები ჰოლანდიის, ბულგარეთისა და შვეციის გუნდები არიან.

ავსტრალიაში გამართულმა აპრილის ტურნემ ბევრი ვერაფერი მოუტანა გუნდს.

ამას მოჰყვა მატჩი ირლანდიასთან, რომელშიც რამდენიმე „გადასახლებული“ მოთამაშეც მონაწილეობდა და მაშინ გამოჩნდა ნამდვილი ურუგვაის ნაკრები: ბურთის ფლობის უმაღლესი ოსტატობა, ზუსტი და აკურატული გადაცემები... ორივე გოლი ცენტრფორვარდმა ფერნანდო მორენამ გაიტანა ათ წუთში.

მეკარე გუსტავო ფერნანდესი საიმედოდ ვერ თამაშობდა და ამიტომ ბევრს არ გაკვირვებია, რომ შემდეგ მატჩში იგი ვეტერანმა მაზურკევიჩმა შეცვალა.

რობერტო პორტას, რომელიც ეროვნულ ნაკრებ გუნდს მაშინ ჩაუდგა სათავეში, როცა შესარჩევ შეხვედრათა სიძნელეები უკვე გადალახული იყო, მაინც ბევრი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი.

პორტა თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე არგენტინაში და იტალიაში თამაშობდა. იგი თვითონ ბომბარდირი იყო და ყურადღებას ძირითადად შეტევაზე ამახვილებს, რაშიც თავის წინამორბედებს არ ჰგავს.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში ურუგვაის გუნდმა ნახევარფინალს მიაღწია ოთხ თამაშში სამი გოლის გატანით. ისიც უნდა ითქვას, რომ იმ ჩემპიონატში ნაკრების პირველივე მატჩში ისრაელის გუნდთან მე-13 წუთზე დაშავდა ურუგვაელთა უძლიერესი ფეხბურთელი როჩა და გუნდმა შეჯიბრება უმისოდ გააგრძელა.

ორი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, ვეტერანი როჩა 30 წლისაა, მაგრამ თავის კლუბში, ბრაზილიის „სან-პაულუში“ ჯერ კიდევ გააქვს ეფექტური გოლები შორიდან.

გუნდში კიდევ ორი უძლიერესი მოთამაშეა: მეკარე მაზურკევიჩი, რომელიც ასევე მესამე მსოფლიო ჩემპიონატში თამაშობს, და თავდამსხმელი მორენა. ეს უკანასკნელი ორივე ფეხით ზუსტად ურტყამს კარში და ვარსკვლავთა იმ მცირერიცხოვანი არმიის წარმომადგენელია, რომელიც შინ დარჩა.

ფლანგებზე თამაშობენ რიკარდო პავონი და ლუის კუბილა, რომელიც მექსიკაში ურუგვაის უძლიერესი ფეხბურთელი იყო მაზურკევიჩის შემდეგ.

ყველა სირთულის მიუხედავად, ურუგვაის გუნდის თამაში სასიამოვნო სანახავი უნდა იყოს, რადგან ეს გუნდი სავსეა ნიჭიერი ფეხბურთელებით და მუდამ შეტევისკენ მიისწრაფვის.

28 მაისს მენეჯერი პორტა და მისი 22-კაციანი გუნდი მონტევიდეოდან ათენში გაფრინდნენ, სადაც 31 მაისს ამხანაგური მატჩი გამართეს ადგილობრივ „ოლიმპიაკოსთან“. შემდეგ გუნდი იტალიაში გადაფრინდა და იქ შეხვდა ფლორენციის „ფიორენტინას“.

გამგზავრების წინ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ ამბავმა, რომ პორტამ გუნდში არ შეიყვანა თავდამსხმელი სოლ რივერო. რივერომ კარგად ჩაატარა მოსამზადებელი მატჩები და მოითხოვა მწვრთნელის გადაყენება მისი „უნიჭობის, არაკომპეტენტურობისა და უგულისყურობის“ გამო.

ტერი ბაშელი.

* * *

გუნდის შემადგენლობა

ძირითადი მოთამაშეები: ლადისლაო მაზურკევიჩი, ლუის გარისტო, ხუან მასნიკი, ბაუდილიო ხაურეგი, პაბლო ფორლანი, ხულიო მონტერო კასტილო, რიკარდო პავონი, ვიქტორ ესპარაგო, ფერნანდო მორენა, პედრო როჩა, ლუის კუბილა.

მათს გარდა გუნდში არიან: მეკარეები: ექტორ სანტოსი, გუსტავო ფერნანდესი; მცველი გუსტავო დე სიმონე; ნახევარმცველები: ალბერტო კარდაჩო, ხოსე გომესი, რამონ სილვა; თავდამსხმელები: მარიო გონსალესი, ვალტერ მანტეგაცა, ხულიო ხიმენესი, რუბენ კორბო, დენის მილარი.

(„მორნინგ სტარი“, ლონდონი).

„დიდი გუნდის“ მწარე ხვედრი

(1954 წ. ბერნი. ფინალური მატჩის მთავარი მსაჯი უილიამ ლინგი, ინგლისი)

გფრ — უნგრეთი 3:2

რიგით მეხუთე მსოფლიო ჩემპიონატი 1954 წელს გაიმართა შვეიცარიაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წელი იყო მსოფლიო ფეხბურთისთვის, რომელიც თავისი უმაღლესი ორგანოს — ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) დაარსების 50-ე წლისთავს ზეიმობდა. ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი მსოფლიოს 44 ქვეყანამ გამოთქვა (ეს სარეკორდო რაოდენობა იყო). დასკვნითს, ფინალურ ტურნირში მოსახვედრად გუნდებს 13 შესარჩევ ჯგუფში უნდა ებრძოლათ. მსოფლიო ომის მიღმა დარჩენილ ევროპის პატარა სახელმწიფოში მხოლოდ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი შეიკრიბნენ.

მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა 16 ივნისს დაიწყო, ხოლო ფინალი გაიმართა 4 ივლისს. აი, ფინალური მატჩის მთავარი არბიტრის უილიამ ლინგის შთაბეჭდილებებიც:

„მსოფლიო ჩემპიონის სახელის დასაცავად შორეული სამხრეთ ამერიკიდან ურუგვაელებიც ჩამოვიდნენ, მაგრამ ტურნირის მთავარი ფავორიტი იყო უნგრეთის „დიდი გუნდი“, რომელიც უმაღლეს მწვერვალზე გუსტავ შებეშმა აიყვანა. 50-ანი წლების დამდეგიდან უნგრელთა „ოქროს გუნდმა“ დინამიკური და სწრაფი თამაშით ისეთ განსაცვიფრებელ წარმატებებს მიაღწია, ისე იოლად დაჯაბნა ყველა მეტოქე (მათ შორის ლეგენდად ქცეული ინგლისი), რომ შვეიცარიის მსოფლიო ჩემპიონატში მისი გამარჯვება ოდნავადაც არავის ეეჭვებოდა. მინდორზე უნგრეთის ნაკრების გამოსვლა თითქოს მხოლოდ ფორმალური მხარე იყო მისი ტრიუმფისა, რომელსაც „სპორტული საბუთების“ გაფორმების მეტი არაფერი სჭირდებოდა.

მაგრამ ბერნში გამართულმა ფინალურმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. უნგრელთა საოცრად შეხმატკბილებული, შესანიშნავი გუნდი, რომელმაც მეოთხედფინალში დაუვიწყარი თამაშით სძლია ბრაზილიას (4:2), რომელთანაც ნახევარფინალში ჰეროიკული 120-წუთიანი ბრძოლის შემდეგ ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ თვით ურუგვაელებიც კი, ფინალში ველარ გაუმკლავდა გფრ-ის ნაკრებს, სწორედ იმ გუნდს, რომელიც ქვეჯგუფში დაამარცხა დიდი ანგარიშით — 8:3!

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების მატჩი ბერნის განთქმულ „ვანკდორფის“ სტადიონზე გაიმართა. შეხვედრას 55 ათასი მაყურებელი დაესწრო. უნგრეთიდან ბევრი ტურისტი ჩამოვიდა, მაგრამ გაცილებით მეტი იყო გფრ-ის ნაკრების გულშემატკივარი, რომელთა სამშობლოდანაც ბერნამდე ორიოდე ნაბიჯია. ამინდი ხელს არ უწყობდა მოთამაშეებს, წვიმდა, მაგრამ ორივე გუნდმა ისე ითამაშა, იმდენად მაღალი კლასის ფეხბურთი გვიჩვენა, რომ ტრიბუნებზე ყოველ წუთს გაისმოდა აღტაცების შეძახილები.

ტემპი პირველი წუთებიდანვე მაღალი იყო. მეტოქენი გართულებებს არ ერიდებოდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა. 20 წუთის შემდეგ ტაბლოზე უკვე 2:2 ეწერა.

რა მოხდა?

უნგრელმა ფეხბურთელებმა, რომელთაც სურდათ მეტოქე დაეთრგუნათ და ფაქტიურად მანამ დაემარცხებინათ, სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ და შეთამაშებას მოასწრებდნენ, გერმანელთა კარის წინ ნამდვილი ჯოჯოხეთი დაატრიალეს და მე-8 წუთზე უკვე ორი უპასუხო გოლი ჰქონდათ გატანილი. ანგარიში მე-5 წუთზე გახსნა გუნდის კაპიტანმა პუშკაშმა, რომელიც ტრავმის შემდეგ ჯერ კიდევ განკურნებული არ იყო. თუ „ბოროტ ენებს“ დავუჯერებთ, ფინალურ მატჩში იგი მხოლოდ იმ მიზნით მონაწილეობდა, რომ თამაშის შემდეგ პირველს სურდა მიელო ჟიულ რიმეს თასი. მე-8 წუთზე მარცხენა გარემარბმა ციბორმა დრიბლინგის მთელი სერიის შედეგად მეორედ აიღო ტურეკის კარი...

მაყურებლებს, მათ შორის მეც, და ალბათ უნგრელ მოთამაშეებსაც ეგონათ, რომ ფინალი ამავე გუნდების პირველი შეხვედრის ასლი იქნებოდა, მაგრამ მალე მინდორზე ვითარება შეიცვალა უნგრელთა საწინააღმდეგოდ. მე-11 წუთზე მორლოკმა გამოიყენა უნგრელ მცველთა დაყოვნება და ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 1:2.

შემთხვევითი გოლი? შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ფაქტია, რომ გოლმა გერმანელ ფეხბურთელებს მხნეობა შემატა. მათ იგრძნეს, რომ ფავორიტ უნგრელებს, რომლებიც მარტივ, უპრობლემო თამაშს და იოლ გამარჯვებას მოელოდნენ, ამ ერთმა გოლმა თავზარი დასცა. მართლაც, სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ, ანგარიში უკვე 2:2 გახდა! მეორე გოლის თაოსანი გახლდათ გფრ-ის ნაკრები გუნდის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული და ღირსეული კაპიტანი ფრიც ვალტერი. მან კუთხურიდან ჩამოაწოდა ბურთი და რანმა სისწრაფის შეუნელებლად, შეუჩერებლივ დაარტყა გროშიჩის კარში...

უნგრელთა გუნდის ბედი გადაწყდა 86-ე წუთზე, როცა მანამდე დიდებულად მოთამაშე ბოჟიკმა შეცდომა დაუშვა, რანი მას დაუსხლტა და 16 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გამარჯვება მოუტანა გერმანელთა ნაკრებს, რომელსაც პირველობის დაწყებამდე სპეციალისტები აუტსაიდერებზე ბევრად მაღლა არ აყენებდნენ...

მსოფლიო ჩემპიონებს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებს მხურვალედ მიესალმნენ მაყურებლები, რომელთა აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. შემდეგ ჟიულ რიმემ ნიკეს თასი გადასცა ფრიც ვალტერს, ხოლო ფინალის ყველა გერმანელ მონაწილეს ოქროს მედლები“.

აი, რას წერს ბერნში მომხდარი ტრაგედიის თაობაზე უნგრეთის ნაკრების მწვრთნელი გუსტავ შებეში თავის წიგნში „უნგრული ფეხბურთი“:

„მატჩის შემდეგ ქანცგაწყვეტილი და განადგურებული უნგრელი ფეხბურთელები ჩამწკრივდნენ და მეტოქეს გამარჯვება მიულოცეს. მათი თვალები და სახის იერი აშკარად მეტყველებდა, რომ მომხდარ დიდ უბედურებაში მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ თავს ადანაშაულებდნენ. ისინი სწრაფად შეეგუენ, გაუმკლავდნენ გულისტკივილს, ვაჟკაცურად გადაიტანეს იმედის გაცრუება. უნგრელთა ნამდვილი სპორტული საქციელი და უკვე მომხდარი ფაქტის ობიექტური შეფასება მაყურებელმაც მოიწონა და გერმანელ ფეხბურთელებთან ერთად ისინიც ტაშით დააჯილდოვა. მაშინ, უნგრული ფეხბურთისთვის იმ ბედუკუღმართ დღეს, ჩვენმა ფეხბურთელებმა მთელ მსოფლიოს უჩვენეს, რომ შეუძლიათ არა მარტო შესანიშნავი, თანამედროვე და ლამაზი ფეხბურთი ითამაშონ, არამედ შეურიგდნენ მოულოდნელ მარცხსაც, და დამარცხებას - იმ დროს, როცა მზად იყვნენ უდიდესი ტრიუმფისთვის“.

უნგრეთში კი ფეხბურთის თაყვანისმცემლებს დანა კბილს არ უხსნიდათ. ბევრი გულშემატკივარი და ჟურნალისტი ამ მარცხში გუსტავ შებეშს სდებდა ბრალს, ვითომ ნაკრები უხეიროდ შეადგინაო. მაგრამ განა ასე იყო სინამდვილეში? აი, რას ამბობს თვით შებეში:

„შეცდომა უნდა გვეძებნა არა გუნდის შემადგენლობაში, არამედ სხვაგან, უფრო კონკრეტულ სფეროში. დავითვალე და იცით რა გამოვიდა? თამაშის განმავლობაში უნგრელმა თავდამსხმელებმა გოლის გატანის 13 (!) შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. ამისთვის ისინი მწარედ დაისაჯნენ“.

„კარგად ინფორმირებული“ ხალხი უნგრეთში იმასაც ამბობდა, „ოქროს გუნდმა“ განგებ წააგო მატჩი, რისთვისაც ყველა მოთამაშემ საჩუქრად ავტომანქანა „მერსედესი“ მიიღოო... ვითარება იმდენად დაძაბული იყო, რომ ფეხბურთის მესვეურებმა გუნდის წევრები ტატიდან ბუდაპეშტში ავტობუსით ჩაიყვანეს. ეს გონივრული გადაწყვეტილება იყო, ვინაიდან შურისძიების წყურვილით გაცოფებული გულშემატკივრები ფეხბურთელებს ბუდაპეშტის ვოგზალში უცდიდნენ, სადაც საერთაშორისო ექსპრესი „ვენა — ბუდაპეშტი“ უნდა ჩამომდგარიყო... ფეხბურთელები თავიანთ სახლებში სათითაოდ შეიპარნენ მხოლოდ საღამოხანს, შებინდებულში, მაგრამ მათი ჩამოსვლის ამბავი მაინც გახმაურდა. ზოგიერთმა დაინახა, რა ფრთხილად, უჩუმრად გამოვიდნენ გუნდის წევრები დიდი ავტობუსიდან, და საბოლოოდ დაუსვა ბეჭედი: წყალი არ გაუვა, ნამდვილად გასამრჯელო აქვთ აღებული წაგებაშიო.

რა იცოდნენ გულშემატკივრებმა, რომ თვით „დიდი გუნდის“ წევრები სულიერად ბევრად უფრო გატეხილი იყვნენ და ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყვნენ მომხდარ უბედურებაში. ოღონდ ერთს, მთავარს, ისინი აშკარად გრძნობდნენ: წლების მანძილზე სათუთად ნაქსოვი სახელი და დიდება ერთ დღეს გაუქრათ თვალსა და ხელს შუა...

აქ აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ მატჩის მთავარი მსაჯი ლინგი, რომელმაც თავისი სპორტული კარიერა სწორედ ბერნის ფინალური შეხვედრით დაამთავრა. რატომ? სჯობს გავიხსენოთ, რას წერდა ნორვეგიის ჟურნალი „სპორტმანდსენი“: „მსოფლიო პირველობის ფინალი ლინგს არ გამოუვიდა. ბოლო ხანებში მან საგრძნობლად მოიმატა წონაში და სველ, სრიალა მინდორზე ვერ შეძლო კვალში მიჰყოლოდა ბურთს. მართალია, ლინგს მანამდე ჩატარებული ჰქონდა ოლიმპიური ფინალური მატჩი, მაგრამ ჩვენ მაინც ძალიან გაგვიკვირდა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრა სწორედ მას მიანდვეს. ჩვენი აზრით, ლინგს ასეთი პატივი არ დაუმსახურებია. თანაც, იგი საერთაშორისო ფეხბურთის ჰორიზონტზე მაინც და მაინც ავტორიტეტული ფიგურა არ გახლდათ.

მაშ ტრაგედია არ იყო, რომ თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე გვერდითი მსაჯის გრიფიტსის ნიშანს ყური არ ათხოვა და უნგრელებს მესამე ბურთი არ ჩაუთვალა? ამას გარდა, ლინგს [illegible] შეფერის მიერ წესის დარღვევა [illegible] ორთაბრძოლისას, რასაც [illegible] გამარჯვების მნიშვნელოვანი გოლი მოჰყვა“...

მაგრამ რაც იყო, იყო. 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი ფეხბურთის მოყვარულთა მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება.

სურათზე: მარცხნიდან — გვერდითი მსაჯი [illegible] (ჩრდ. ირლანდია), ფ. ვალტერი, მთავარი მსაჯი ლინგი (ინგლისი), პუშკაში, გვერდითი მსაჯი გრიფიტსი (უელსი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის“
სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

სსრ კავშირის
პირველობა

რაგბი

9 ივნისს
„ლოკომოტივი“ (თბილისი)
— სამხედრო-საჰაერო
აკადემია (მოსკოვი)

დასაწყისი 19 ს.

თბილისის
სპორტულ
ბაზაზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 9 ივნისი. ასკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „განთიადი“ (თბილისი). დასაწყისი 18 ს. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შუქურა“ (ქობულეთი). 18 ს. „სიჭაბუკის თასი“. „დინამოს“ ბაზა დიღომში. „დინამო“ (თბილისი) — „ავაზა“ (თბილისი). 12 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10657